



კვირის მიმოხილვა

კვირის მიმოხილვა | საქართველო
12 აპრილი 2021


ეკონომიკა

საერთაშორისო რეზერვები: საქართველოს ეროვნული ბანკის თანახმად, 2021 წლის მარტში ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები წლიურად 20.6%-ით გაიზარდა და 4.1 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო წინა თვესთან შედარებით რეზერვები 0.6%-ით გაიზარდა (+25.2 მლნ აშშ დოლარი). ამასთან, ეროვნულმა ბანკმა მარტში სავალუტო აუქციონზე 40.0 მლნ აშშ დოლარი გაყიდა. რეზერვების ცვლილება უკავშირდება მთავრობის და საბანკო სექტორის სავალუტო ოპერაციებს, და/ან აქტივების გადაფასებას.

ტურიზმი: ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, 2021 წლის მარტში საერთაშორისო ვიზიტები (ტურისტები და ერთდღიანი ვიზიტორები) წლიურად 73.4%-ით შემცირდა და 55.9 ათასი ვიზიტორი შეადგინა. ამასთან, ჩვენი შეფასებით, 2021 წლის პირველ კვარტალში ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 50.1 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა (-88.3% წ/წ).

საერთაშორისო სავალუტო ფონდმა (IMF) 2021 წლის აპრილის მსოფლიო ეკონომიკურ მიმოხილვაში, 2021 წლის მსოფლიო ეკონომიკური ზრდის პროგნოზი გაზარდა 0.8%-ული პუნქტით 6.0%-მდე, 2020 წლის ოქტომბრის პროგნოზთან შედარებით. ზრდის მიმართულებით პროგნოზის გადახედვა განპირობებულია დამატებითი ფისკალური სტიმულით რამდენიმე მსხვილ ქვეყანაში და ვაქცინაციით დაჩქარებული ეკონომიკის გამოცოცხლების მოლოდინით 2021 წლის მეორე ნახევარში. ამავდროულად, ფონდმა შეამცირა საქართველოს 2021 წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 3.5%-მდე, წინა წლის დეკემბრის 4.3%-იანი პროგნოზიდან. ამასთან, ფონდი პროგნოზირებს საქართველოს ეკონომიკის 5.4%-იან საშუალო წლიურ ზრდას 2022-26 წლებში.

ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები, მლრდ აშშ დოლარი




წყარო: სებ

ეკონომიკური ინდიკატორები

	2018	2019	2020
მშპ (%-ლი ცვლილება)	4.8%	5.0%	-6.2%
მშპ ერთ სულზე (ppp)	14,584	15,613	14,918
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	4,722	4,696	4,275
მოსახლეობა (მლნ)	3.7	3.7	3.7
ინფლაცია, პერიოდის ბოლო	1.5%	7.0%	2.4%
მთლიანი რეზერვები (მლრდ აშშ \$)	3.3	3.5	3.9
მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი (მშპ-ს %)	6.8%	5.5%	12.3%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	2.3%	2.1%	9.3%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	38.9%	40.4%	60.0%

წყარო: ოფიციალური მონაცემები

მშპ-ს რეალური ზრდა, %



წყარო: სასტატატი

საერთაშორისო რეიტინგები, 2019-21

- ბიზნესის კრედიტის სიმარტივე №7 (საუკეთესო 10-ეული)
- ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი №12 (მირითადად თავისუფალი)
- გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი №74

წყარო: მსოფლიო ბანკი, Heritage Foundation და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი

საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი

STANDARD & POORS BB უარყოფითი დადასტურებული თებერვალი-2021	Moody's INVESTORS SERVICE Ba2 სტაბილური დადასტურებული აგვისტო-2020	FitchRatings BB უარყოფითი დადასტურებული თებერვალი-2021
--	--	--

წყარო: სარეიტინგო სააგენტოები



ფულადი ბაზარი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები: საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2021 წლის 6 აპრილს 2-წლიანი 20 მლნ ლარის (5.9 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის ბენძმარკ ბონდები გაყიდა. ამასთან, მოთხოვნა დაახ. 2.3-ჯერ მაღალი იყო და საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა აუქციონთან შედარებით 0.555პპ-ით გაიზარდა და 8.542% შეადგინა. ასევე, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2021 წლის 6 აპრილს 6-თვიანი 15 მლნ ლარის (4.4 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის სახაზინო ვალდებულებები გაყიდა. ამასთან, მოთხოვნა დაახ. 3.1-ჯერ მაღალი იყო და საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა აუქციონთან შედარებით 0.459პპ-ით გაიზარდა და 8.459% შეადგინა. უახლოესი აუქციონი დაგეგმილია 2021 წლის 13 აპრილს, სადაც 1-წლიანი 15 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები გაიყიდება.


სახაზინო ფასიანი ქაღალდები, 2021 წელი

ვალიანობა	გამოშვება წლის დასაწყისიდან მლნ ლარი	დარჩენილი გამოშვება მლნ ლარი	დარჩენილი ვალდებულება*
6-თვე	45	120	95
1-წელი	30	135	575
2-წელი	60	160	1,250
5-წელი	113	315	2,336
10-წელი	25	75	1,262
სულ	273	805	5,518

წყარო: ფინანსთა სამინისტრო


შენიშვნა: * 2021 წლის 28 თებერვლის მდგომარეობით

სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სეზ

განხორციელებული ემისია და მოთხოვნა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბოლო აუქციონებზე, მლნ ლარი




წყარო: სეზ

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, წლიური ინფლაცია და ლარის გაცვლითი კურსი



წყარო: სეზ

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სეზ


შენიშვნა: ინდექსის ზრდა ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას, ხოლო კლება - გაცვლითი კურსის გაუფასურებას




ობლიგაციები

კორპორატიული ევრობლიგაციები: საქართველოს ბანკის ჯგუფის ევრობლიგაცია (GEBGG) დაიხურა 3.10%-იანი შემოსავლიანობით, ფასით 106.35 (-0.01% წინა კვირასთან შედარებით). საქართველოს კაპიტალის ევრობლიგაციებით (GEOCAP) ვაჭრობა დაიხურა ფასით 101.31 (+0.18% წინა კვირასთან შედარებით), 5.63%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს რკინიგზის ევრობლიგაცია (GRAIL) ივაჭრობდა 106.03 ფასად (-0.09% წინა კვირასთან შედარებით), 2.78%-იანი შემოსავლიანობით.



წყარო: Bloomberg



წყარო: Bloomberg

შენიშვნა: სილიქეტის დურაციის გამოთვლისას ვადიანობის განსაზღვრისთვის აღებულია გამოსყიდვის თარიღი

ქართული ობლიგაციების ძირითადი მონაცემები

ევრობლიგაციები								
გამომშვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
GRAIL 07/22	US\$	500	7.750%	Jul-22	BB-/B+/-	106.03	2.78	256.56
GEBGG 07/23	US\$	350	6.000%	Jul-23	BB-/B+/-	106.35	3.10	276.27
GEBGG 11 1/8 PERP	US\$	100	11.125%	n/a	B-/B-	108.50	9.27	754.79
GEOCAP 03/24	US\$	300	6.125%	Mar-24	-B/B2	101.31	5.63	517.43
SILKNET 04/24	US\$	200	11.000%	Apr-24	B-/B1	109.28	7.46	633.91
TBC 06/24	US\$	300	5.750%	Jun-24	BB-/B+/-	107.10	3.38	285.94
TBC PERP	US\$	125	10.775%	n/a	B-/B-	108.01	9.52	751.25
GGU 07/25	US\$	250	7.750%	Jul-25	B+/B-	104.70	6.48	561.34

ადგილობრივი ობლიგაციები

KTW 12/22	US\$	10	9.00%	Dec-22	-/-/-	n/a	n/a	n/a
GWP 12/21	GEL	30	12.50%	Dec-21	BB-/B+/-	n/a	n/a	n/a
M2CA 12/21	US\$	30	7.50%	Dec-21	-/-/-	100.00	7.50	n/a
M2RE 10/22	US\$	35	7.50%	Oct-22	-/-/-	100.43	7.20	n/a
GLC 06/21	US\$	5	6.50%	Jun-21	-/-/-	n/a	n/a	n/a
GLC 08/21	US\$	10	7.50%	Aug-21	-/-/-	100.00	7.50	n/a
GLC 08/22	US\$	10	7.50%	Aug-22	-/-/-	n/a	n/a	n/a
Nikora Trade 08/21	GEL	25	9.00%	Aug-21	-/-/-B+	n/a	n/a	n/a
SILKNET 04/24	GEL	34	12.50%	Apr-24	B+/B1/-	n/a	n/a	n/a
Geo. Beer Company	GEL	25	13.00%	Dec-23	-/-/-BB-	n/a	n/a	n/a
Lisi Lake Development	US\$	12	8.00%	Dec-21	-/-/-B+	n/a	n/a	n/a
Tegeta 04/22	GEL	30	10.75%	Apr-22	-/-/-BB-	n/a	n/a	n/a
Swiss Capital 09/21	GEL	10	14.25%	Sep-21	B-/B-	100.00	14.25	n/a
EVEX 11/24	GEL	50	12.10%	Nov-24	-/-/-BB	n/a	n/a	n/a

წყარო: Bloomberg




აქციები

საქართველოს ბანკის ჯგუფის (BGEO LN) აქციები დაიხურა 11.06 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -0.90% წინა კვირასთან შედარებით და +2.60% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 181 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 10.88 – 11.58 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 45 ათასი აქცია შეადგინა.


Georgia Capital-ის (CGEO LN) აქციები დაიხურა 5.95 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -0.67% წინა კვირასთან შედარებით და +20.93% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 124 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 5.78 – 6.05 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 111 ათასი აქცია შეადგინა.

თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN) აქციები დაიხურა 10.70 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +4.90% წინა კვირასთან შედარებით და -3.95% წინა თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 134 ათასს გადააჭარბა, GBP 10.28 – 10.94 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 40 ათასი აქცია შეადგინა.


საქართველოს ბანკის ჯგუფი (BGEO LN)



თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)



საქართველოს კაპიტალი (CGEO LN)





აქციები

აღმოსავლეთი ევროპის ბანკები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ. მლნ აშშ \$	ნ თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას. ცვლ.	P/E		P/B	
								2020F	2021F	2020F	2021F
Bank of Georgia	BGEO	GBP	11.06	544	20.5%	11.4%	-9.3%	8.02x	4.61x	0.97x	0.80x
TBC	TBC	GBP	10.70	589	8.3%	32.3%	-14.4%	6.36x	4.69x	0.89x	0.78x
Halyk Bank	HSBK	US\$	14.50	4,261	38.1%	48.6%	24.5%	5.82x	4.38x	1.18x	1.11x
VTB Bank	VTBR	US\$	1.10	7,102	34.6%	9.6%	14.8%	7.35x	3.10x	0.38x	0.37x
Akbank	AKBNK	TRY	4.76	24,752	-7.6%	-21.1%	-31.3%	3.77x	3.05x	0.37x	0.35x
Garanti	GARAN	TRY	6.64	27,888	-6.5%	-21.8%	-36.0%	3.78x	2.90x	0.40x	0.38x
Isbank	ISCTR	TRY	4.84	21,780	-9.0%	-3.8%	-30.9%	2.96x	2.62x	0.30x	0.29x
PKO	PKO	PLN	32.22	40,275	44.8%	42.1%	12.2%	13.92x	11.56x	0.89x	0.87x
PEKAO	PEO	PLN	72.98	19,155	38.9%	30.9%	19.4%	15.78x	11.84x	0.75x	0.73x
Millennium	MIL	PLN	3.90	4,731	41.8%	17.8%	19.3%	66.29x	9.63x	0.51x	0.55x
Mbank	MBK	PLN	216.00	9,145	27.8%	-5.7%	20.5%	36.59x	135.59x	0.53x	0.55x
BRD	BRD	RON	15.80	11,011	27.2%	31.9%	6.3%	13.51x	11.00x	1.20x	1.45x
Banca Transilvania	TLV	RON	2.41	12,570	18.3%	34.6%	7.1%	12.81x	7.76x	1.49x	1.27x
OTP	OTPD	USD	22.40	12,544	-1.8%	-1.8%	-1.8%	12.52x	10.14x	0.70x	0.63x
Komercni	KOMB	CZK	678.00	128,853	37.2%	19.8%	3.2%	15.80x	14.06x	1.11x	1.08x
საშუალო								15.02x	15.80x	0.78x	0.75x
მედიანა								12.52x	7.76x	0.75x	0.73x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ

ინვესტიციების მართვის შესადარი კომპანიები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ. მლნ აშშ \$	ნ თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას. ცვლ.	P/E		P/B	
								2020F	2021F	2020F	2021F
Georgia Capital	CGEO	GBP	5.95	219	45.1%	9.8%	10.2%	na	na	na	na
Tinc Comm	TINC	EUR	12.88	351	-3.5%	-2.1%	-0.5%	na	na	na	na
Sabancı Holding	SAHOL	TRY	8.50	17,343	0.0%	11.7%	-25.8%	3.29x	3.09x	0.43x	0.38x
Deutsche Beteiligungs	DBAN	EUR	41.60	626	20.6%	49.9%	25.7%	na	8.31x	1.43x	1.35x
Eurazeo	RF	EUR	66.20	5,214	42.2%	51.7%	19.3%	31.25x	9.09x	0.94x	0.76x
Carlyle Group	CG	USD	37.93	4,198	41.5%	57.6%	20.6%	6.38x	5.21x	6.27x	4.22x
საშუალო								13.64x	6.43x	2.27x	1.68x
მედიანა								6.38x	6.76x	1.18x	1.05x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტი ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტი ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტი ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყევობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოსატყულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტში) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტი ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტი ენდ თაგარტი არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოსატყუალი ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტი ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტი ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოსატყუალს ან ნაგულისხმევის, ამ დოკუმენტის საგრძნობლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტი ენდ თაგარტი და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტი ენდ თაგარტი

მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102, საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: gt@gt.ge